საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის

მეურნეობის მინისტრის მოადგილეს

ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ ი/მ„მაია ციკოლია", ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფ. ლესიჭინეს ტერიტორიაზე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთებზე გაშენებული გვაქვს თხილის ბაღი. მიწის ნაკვეთებიდან ორი ნაკვეთი, რომლებზეც გაშენებულია თხილის ბაღი წარმოადგენს ჩემს, ი/მ „მაია ციკოლია"-ს საკუთრებას, რომლის საკადასტრო კოდებია: 46.05.40.173 და 46.05.40.177, ხოლო დანარჩენი ორი მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდებით: 46.05.40.178 და 46.05.40.179 (მამუკა რაფავას საკუთრება) თავის მხრივ ჩემს ი/მ „მაია ციკოლია"-ს სარგებლობაშია (იჯარა). ოთხივე მიწის ნაკვეთის საერთო ფართობი ჯამში შეადგენს 261737 კვადრატულ მეტრს, აქედან თხილის ბაღი გაშენებულია დაახლოებით 250000 კვადრატულ მეტრ ფართობზე. ოთხივე მიწის ნაკვეთი მდებარეობს ერთმანეთის გვერდიგვერდ. აღნიშნული ბაღის მორწყვის მიზნით გათვალისწინებული მაქვს წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობა. აღნიშნული სარწავი სისტემის წყლით მომარაგება გათვალისწინებულია მდ. ცივი-დან.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი''-ს II დანართის პირველი პუნქტის, 1.3 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და აღნიშნულ საქმიანობაზე, სამინისტრო, ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზშ-ს საჭიროების შესახებ, საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასათბურე მეურნეობის სარწყავი სისტემით უზრუნველყოფის მიზნით დანართის სახით წარმოგიდგენთ სკრინინგის განცხადებას და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი - სკრინინგის ანგარიში

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან

მიწის საკუთრების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

პატივისცემით

ი/მ „მაია ციკოლია" (19001024023)

19.05.2021 წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 9023
25 05 2021
02